1992

ISSN 0132—5965

№ 4 აპრილი 1992 წ.

ყანწი

სანთლები – აპრილის ტკივილს!
ნათელი – აპრილის იმედებს!



გაფაფხულიე

მზია ჩხეტიანი

ახევს ქარი
მწვანე აპრილს
ია-იით სავსე
კალთას,
კორდებს აერის,
ბორცვებს აერის,
ბილიკ-ბილიკ,
ხევ-ხევ ფანტავს.
დანარნარებს,
დაირხევა,
ტოსთან თუ
ტაშისკართან,
ჭკრეს კამარა
ხარჯიხვებმა
და მზე რქებში
გაეხლართათ!
გაზაფხული გაუხარდათ
ხარირმებსაც,
მთასა მეკირალთ,
ეს ვაზი კი,
ამ ჯიშკართან,
ნეტავი რამ აატირა?

მირზა გელოვანი

აქ შეეჯახა საკაძეს არაგვის ლომი,
აქ შეიჯიდნენ მეამბოხე და გენიოსი...
ასე ებრძოდა ანტონიოსს ოქტავიოსი,
თუმცა ორივეს, ო, ორივეს უყვარდა რომი.
აქ მოდიოდა ჩუმი ოხვრით დიდი ქართველი
და ბაზალეთის ტალღებიდან ნათელს
ელოდა.
და შორს, ძლიერ შორს სჩანდა ნათელი
მომავალ დღეთა სადღეგრძელოთა.

ბებერი ვერხვი

იოსებ ომაძე

ბორჯომ-წაღვერის საავტომობილო გზა გუჯარეთისწყლის ნაპირს მიუყვება. გაფაცებული ვიყურები ფანჯრიდან — ერთ ადგილას, დაახლოებით შუა გზაზე, „ჩემი“ ვერხვი მინდა დავინახო. ვშიშობ, ვაი თუ ცოცხალი არ დამხვდეს ბებერი ვერხვი...

მდვრიე მდინარე მიხტის შავ-რუხ ქვებზე. რიყეზე ის ზოგან მცირე კუნძულებს ქმნის, მუქმწვანე მურყნებით დამშვენებულს; ზოგან ნაპირებს ნორჩ ფიჭვთა კორომები მიუყვება. აქეთ-იქიდან ხეობის ციცაბო, მწვანით შეფოსილი კალთები უშფოთველად შესცქერიან გუჯარეთისწყლის — იგივე თორისწყლის — თამაშ-ლიკლიკს, მიხვევ-მოხვევას, ხან ოდნავ დამდოვრებას, ხან თეთრად აქოჩვრას ჩქერებზე...

აი, ჩემი ძველი ნაცნობის გოლიათური ტანიც გამოჩნდა. გახარებული მივესალმები: „გამარჯობა, გამარჯობა!“ ვინ იცის, რამდენი მოხიბლულა ბებერი ვერხვის სილამაზით, სიძლიერით, სიცოცხლის გაუტეხავი ჟინით... თვითონაც ხომ, უეჭველია, ბევრის შემსწრეა და მრავლისმნახველი — სისხლის წვიმების დროის საბრძოლო ბუკის ექოც მოუსმენია, ვიწრო ხეობის ფერდობებიდან მრავალგზის არეკლილი, და მშვიდობიანი შრომის ხალისიანი სიმღერაც. როგორ ამაყად წამომართულა მდინარის პირად ნამეხარი. ისევ თეთრად ანათებს მისი დაძეგილი, მაღლა აზიდული მსხვილი ტანი; ისევ ამწვანებულა მოუსვენრად აცეკვებული ფოთლებით მისი გადამტვრეული, დალეწილი, მაგრამ გაცოცხლებულ-განახლებული ტოტები, რომლებიც ძველებურად მაღლა-მაღლა იწევენ და გვერდზეც იბარტყებენ. აგერ, ერთი მსხვილი ქვემო ტოტი ტალღების თავზე გადაუწვენია, გაღმა ნაპირსა სწვდება — თითქოს უნდა მდინარე ჩაიხუტოს. აქ უფრო ღრმაა წყალი და ალბათ გაბარდღნილი ტოტის ჩრდილში ნებივრად დასრიალებენ თევზები, შესაძლოა, კალმახებიც კი.

მდინარის დინებას ნელ-ნელა ჩაუჭრია კალაპოტი, სულ უფრო ღრმად აშიშვლებს უხუცესი ვერხვის ფესვებს, რომელთა ნაწილი უკვე წყალზევით დარჩენილა და ჰაერში გამოშვერილა; ნაწილს მდინარის ჭავლები ელამუნება და აგრილებს, მხოლოდ ქვედა ფესვები ჯერ კიდევ საიმედოდ ეჭიდებიან რიყეს.

ბებერ ვერხვს ფუღუროც აქვს, კარგა დიდი და პირქუში, და ალბათ ვინმე სახლობს კიდეც შიგ. ალაგ-ალაგ შავად გაჩაჩხულ გამხმარ ტოტებში ჩუმად კვნესის ყდონო, ბედს მინდობილი, კარგსა და ავს შეგუებული უშფოთველობა. ნუ გგონიათ, რომ ბებერი ვერხვი უიმედობას შეუპყრია — ის მაინც გაუტეხელია, ახალ ქარტეხილებს არ უფრთხის და მომავლის იმედით სულდგმულობს. როცა ნიავი დაჰქროლებს, გამხმარი ტოტები ოდნავ თუ შეირხევიან და შემწყალე, წყნარი ღიმილით შესცქერიან გვერდით, ახალნამატ ქორფა რტოებზე ვერცხლისფრად აფარფალებულ ფოთლებს, რომლებიც ერთმანეთს ეჩურჩულებიან არა ვერხვის ძველ იარებსა და ტკივილებზე, არამედ მზის სხივების მხიარულ ანარეკლებზე მდინარის ცელქი ტალღებიდან; მაღლა, ლურჯ ცაზე ეულად მიმქროლავ ღრუბლის თეთრ ქულაზე; დაბლა, მწვანედ აფეთქებულ ბალახზე; და ლამაზ ყვავილებს შორის უზრუნველად მოფრფატე ფრთახატულა პეპლებზე — ყველაფერზე, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

ხეობა ელუარდ ავალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა
F-6049
საქართველოს

ვაშლის ხე

ეს ვაშლის ხე თავს იწონებს,
ეული მოუდგრებია,
ევავის თეთრად, ევავის მწვანედ,
რა ლამაზი ფერებია.
შავი ღამე, ბნელი ღამე
თეთრად გაუთენებია.

ნოდარ შამანაძე



გულს გვიხარებს

ალალ-მაქო, დალალ-მაქო,
დალი როგორ არ შევაქო!

გულს გვიხარებს შინ და გარეთ,
გოგონაა, რა გოგონა!
დილით იყო სამწყემსურში,
გადირბინა გორა-გორა,
შეკრა, შეათაიგულა
ევავილების სამი კონა:
ერთი დედას, ერთი ბებოს,
ერთი უფროს დაიკონას.

ალალ-მაქო, დალალ-მაქო,
დალი როგორ არ შევაქო!

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ვანო და კუ

ვანომ კუ ნახა ბაღჩაში
და თოკით ხეზე დაკიდა,
კუმ ნელა-ნელა, თაგვივით
თავი გამოყო ბაკნიდან.
დაგვინახა და კვლავ გაქრა,
ისევე შეძვრა ბაკანში,
— უყურე, კუსაც სცოდნია
კუკუმალულას თამაში!
— რისი თამაში, რას ამბობ! —
ბებიამ შემოძახა, —
ნატიმრისა და ტუსაღის
თამაში, აბა, ვინ ნახა?!
მივსვდი, ბებო რად წურებოდა,
და მეგობრების ხმაურში,
მივედი, თოკი ჩამოვხსენ,
კუ ბუჩქნარებში გავუშვი.

ოთახის ყვავილები

მერი ბოლქვაძე

მხატვარი ლალი ლომთაძე

ფანჯრის ერთი ფრთა გაფრიალებულია; მეორე, მიხურულ ფრთასთან, ოთახის შიგნითა მხრიდან, რაფაზე ყვავილებია თიხის ქოთნებით ჩამწკრივებული: ბალბა, პატარძალა, ია; დროდადრო რომელიმე ყვავილის გვირგვინი ჩაიფუტკნება, ჩაიშლება და რაფაზე წითელ-ვარდისფერ-იისფერ თოვლად იფინება... ყვავილები ჩუმად სხედან; თითქოს მოწყენილები, თითქოს ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გულმოსულები, გაბუტულები... ხან გარეთ იყურებიან, ხან ოთახში შემოსულ-გასულებს თვალს ადევნებენ... დროდადრო ხან ბალბა შეტოკდება ოდნავ, ხან პატარძალა, ხან ია, თითქოს რაღაცის თქმას დააპირებენ, მაგრამ ეტყობა, უმალვე გადაიფიქრებენ, სიჩუმეს არჩევენ ისევ...

— როგორ ბუებივით სხედან? — თავზე დაჰყურებთ კედლის საათი, — ერთმა მაინც ამოიღოს ხმა...

ფანჯარას მზე მოადგა; მხიარულად შემოანათა, ოთახი სხივებისფრად შეღება-მოავარაყა, — გამარჯობათ! — ოქროსფერ ვარაყში გახლართა ყვავილები.

ყვავილები კი.. იცით როგორ მოიქცნენ?

„ოჰ, ოჰ, დაგვცხა, დაგვცხაო", — მაშინვე პირი იბრუნეს. სამივემ ზურგი აქცია მზეს. საათს მეტიც არ უნდოდა:

— ოჰ, ოჰ, დაიწვით პირდაპირ! — ჩამოსძახა ყვავილებს ქირქილით.

მაგრამ იმათ ყურადღება არ მიაქციეს.

მნათობმა კი ყვავილები ასე დაამშვიდა:

— ნუ გეშინიათ, დიდხანს არ შეგაწუხებთ, ცოტა ხანში გადავიწევი, მზეთუნახავებო.

მზემ ცოტა ხანს კიდევ უცქირათ, მერე ნელ-ნელა გადაიწია, გადაიზნიქა და ცის კიდურს რომ მიაღწია, ყველა სხივი უკლებლივ აკრიფა და სადღაც დედამიწის იქით, სიღრმეში ჩაუშვა. ოთახს მაშინვე მოსცილდა მზის ფერი, ყვავილებსაც შემოეხსნა სხივების ხლართები. ცაზე აქ-იქ მიყრილ-მოყრილი ღრუბლებიღა დარჩა, წითელ-ყვითელ-ვარდისფერ ატლას გადაკრულ-გადაფარებული; მერე, თითქოს სხვისია და იპარავსო, — მზემ ეს ატლასი ნელ-ნელა, ცურვილით გასწია-გააცოცა-გაასრიალა და წაიღო...

წაიღო და წავიდა...

მიდამოს ახლა შავი მჭრქალი მარმაშის საბურველი გადაეკრა-გადაეზმანა; ის ცაზე აქ-იქ მიყრილ-მოყრილი ღრუბლებიც უფრო მრუმე საბურველით გადაიბურნენ. ღრუბლებსა და ღრუბლებს შუა მთელი თავიანთი ბრწყინვალებით გამოჭვრიტინდნენ, გამოლაგდნენ თვალისწარმტაცად მოელვარე ვარსკვლავები...

— დაღამდა, — ჩაიდუდუნა იამ. ბალბასაც რატომღაც ნაღველი მოერია:

— ჰო, დაღამდა, დაღამდა და, ახლა, ვინ იცის, როდის გათენდება?

— როცა უნდა გათენდეს, მაშინ გათენდება; თქვენ კი, თუ ასე გეჩქარებათ, დაიძინეთ: ძილში ჩქარა გადის დრო, — ჩამოთარაკუნა კედლის საათმა და აღარც გაჩერებულა, გაბა და გაბა: — დაიძინეთ, დაიძინეთ, დაიძინეთ...

— შენ არავინ გეკითხება, დავიძინებთ თუ არა, — ასძახა ბალბამ.

— სწორედ რომ მეკითხება, — არ დაუთმო

საათმა და იმდენი იძახა, დაიძინეთ, დაიძინეთო, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყველა ყვავილს ძილი მოერია; ის იყო მიინაბენ, მიილულენ, ის იყო ჩათვლიმეს, რომ თვალისმომჭრელი ელვარებით გაიელვა, მერე თავზარდამცემი ხმით დაიგრგვინა-დაჭექა და ციდან, თითქოს ქვიშით სავსე ტომრებს მოხსნეს პირიო, მოწყვეტით, შხრიალით გადმოეშვა წვიმა... ყვავილებიც, აბა, რა იქნებოდა, უმალ გამოფხიზლდნენ.

— გული გადამიტრიალეს ამ როკაპმა ღრუბლებმა, — ძლივს ამოილუღლუღა შიშისაგან ფერწასულმა იამ.

— ნეტავ როდის მოასწრეს მოგროვება? — ნამძინარევი ხმით წაიპუტუნა პატარძალამ, — თუმცა... ტყუილად დარბოდა ნიავი?

— ჰო, ტყუილად დარბოდა ნიავი?! — შეეხმიანა ბალბაც.

— ტყუილად რად უნდა მერბინა, ვაგროვე და ვაგროვე; სადაც კი შემხვდნენ, ყველა აქეთ გამოვრეკე, — ხსენებაზე შემოვარდა ნიავი, სხაპასხაპით მიაყარა სათქმელი, ყვავილებს ეტაკა, აეაქანა, ააბარბაცა და ისევე სასწრაფოდ, თითქოს სადღაც აგვიანდებაო, უკან გავარდა.

— ნადირო, კინაღამ წელში გადამწყვიტე! — მიაყვირა პატარძალამ და ძლივს გაიმართა.

— მართლაც ნადირია, — ძლივს მოითქვა სული ნიავისაგან გაბრუებულმა და დარეტიანებულმა ბალბამ.

ია აიბუზა:

— ისე შემომიქროლა, შემცივდა.

— რა დროს სიცივეა ამ შუა ზაფხულში, დაიძინეთ! — თავისი ჩამოარაკუნა საათმა.

— როგორ დავიძინოთ ამ ხმაურსა და აურზაურში? — გაუჯავრდა პატარძალა. საათი აიქოჩრა:

— რასა ბრძანებთ, ახლა თქვენი გულისათვის აღარც იელვოს, აღარც იჭექოს, აღარც იწვიმოს, აღარც ნიავმა დაქროლოს?!

— ნეტავ, შენ მაინც გაჩუმდებოდე. — არ დაამთავრებინა ბალბამ. საათმა კი მაინც ჯიუტად განაგრძო:

— არ გავჩუმდები: დაიძინეთ, ღამის გათევას ხომ არ აპირებთ?..

— ვაპირებთო, — უნდა ეთქვა უკვე მოთმინებიდან გამოსულ ბალბას, რომ ფანჯარაში ვიღაც შემოხტა. ნიავს არა ჰგავს და ვინ უნდა იყოსო, შეკრთნენ ყვავილები, მიიხედეს და მაგიდის ლამპის ნაზ და მჭრქალ შუქზე კატა ნანუნა დაინახეს.

— რა მოჩვენებასავით მოგველანდები ხოლმე? — წაიბუზღუნეს ყვავილებმა. საათმა კი, დანახვისთანავე, სულმოუთქმელად სეტყვასავით დააყარა კითხვები კატას:

— წვიმაში მოყევი? სად იყავი? ვერსად შეეფარე? როგორ გალუმპულხარ თავიან-თათიანკუდიანად, რას გავხარ?

კატამ კი, პასუხის გაცემის მაგივრად, თათი ასწია და, აი, ისე, ძალიან რომ არ მოსწონთ ხოლმე რაღაც, ამრეზით, განზე გაიქნია — წვიმის წვეთები ჩამოიბერტყა.

— ეს ყვავილებზე უარესი მანჭიაა და ნებიერი, — წაილაპარაკა ათვალისწუნებით საათმა, კატამ კი ახლა მეორე თათი გაიქნია, ძლიერ და უფრო მეტი ამრეზით... გაიქნია და იაც უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. „რა იყოო? — თვალების ნაბვით და კვესებით გადახედა კატამ, მერე იქვე ჩაჯდა, სადაც იდგა და თავისი შავი, სველი ბეწვის ლოკვას შეუდგა, იამ კი გაუბედავად წაიჩურჩულა;

— წვიმის წინწკლები მომხვდა...

საათი კინაღამ ზომაზე მეტად გაქანდა წინ:

— აღარ შემიძლია თქვენი მოსმენა, თქვე

ჭირვეულებო, თავკერძებო და თავქეიფებო; სულ თავის ნებივრობაში უნდა იყოთ, თქვენს მეტი აღარავინ გახსოვდეთ ამ ქვეყანაზე? წვიმის წვეთებიც რამეა? დაგადნო, თუ რა? — ამ ლაპარაკში ახლა ისევ ნიავი შემოვარდა ოთახში:

— აბა, იმათ რაღა უნდა თქვან, — ასე იკითხა; იკითხა კი, მაგრამ პასუხს არ დაუცადა და განაგრძო, — იმათ, ველის ყვავილებმა, თავიანთი დღე და მოსწრება, დარში და ავდარში, ცის ქვეშ რომ სხედან? — ნიავმა ოთახის ერთ-ერთ კუთხეში მიდგმულ პატარა საწოლს, სადაც პატარა გოგონას ეძინა, ფრთხილად ჩაუქროლა, და ისევ განაგრძო, — აი, ეს გოგონაც ხომ დღენიადაგ თქვენს მოვლა-პატრონობაშია, სულ თავს დაგტრიალებთ, ცივ ნიავს არ გაკარებთ... მეტი რაღა გინდათ, რა ამბავში ხართ?..

ნიავი ისევ გარეთ გაიჭრა, რადგან დიდხანს ერთ ადგილას არ შეეძლო ყოფნა...

— ჰი!! — დასცდა საათს სიცილი.

ყვავილებს კრინტი არ დაუძრავთ.

კატა ისევ იჯდა, გეგონებოდათ იმის მეტი ოთახში არავინაა; ისევ ილოკებოდა — სულ გადაილოკა თავ-პირი, თათებიდან დაიწყო და კუდით დაამთავრა. ერთი ღერი ბეწვიც რომ აღარ დარჩა სველი, წამოდგა, გადაიწია და პატარძალას ლამაზად გადაფურჩქნილ ვარდისფერ ყვავილებს პატარა, კოხტა და ლამაზი ცხვირით მიელამუნა.

— ჰო, მიეფერე, მიეფერე, ისედაც განებივრებულები და თავსწასულები არიან — მწყრალად ჩაიდუდუნა საათმა. კატა ნანუნა კი ახლა იასაც მიელამუნა, მერე იიდან ბალბაზე გადაინაცვლა. ნანუნას ფერებაზე ბალბას გული აუჩუყდა, გვირგვინი ჩამოშალა და შავბეწვიანი ზურგი ნანუნას წითელი ყვავილების ფურცლებით აუფორაჯა. კატა წვრილ ღერზე წასწვდა ბალბას და თითქოს გემო უნდა გაუსინჯოსო — კბილები ოდნავ მოუჭირა.

— არ მომწიწკნო, — წამოსცდა ბალბას და უმალვე გაჩუმდა, მიხვდა, რომ კიდევ წუწუნი გამოუვიდოდა; კატამაც უმალვე მოარიდა პირი, ემანდ მართლა არ მოვწიწკნოო; მერე ადგა და მსუბუქი სკუპით გადმოხტა იატაკზე, ნიავივით უჩუმრად გაიარა ოთახი, პატარა გოგონას საწოლს მიუახლოვდა, აქაც ისკუპა და პირდაპირ ფეხებთან დაუხტა; დახტა და არ განძრეულა, ისე გადახედა გოგონას, ალბათ შეამოწმა, ხომ არ გავაღვიძეო. გოგონას თვალის ქუთუთოებზე ლამაზ არშიასავით მოვლებული წამწამები ოდნავადაც არ შეურხევია... მაშინ კატა ნანუნამ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად და ნელ-ნელა ჩაიკეცა თათები და ჩაწვა... ჩაწვა თუ არა, თვალები ჩაჭუტა და აკრუტუნდა; აკრუტუნდა ძალიან ტკბილად და საყვარლად...

— დაიძინეთ, დაიძინეთ! — გაახსენდა საათს.

ყვავილებს არც გაუგონიათ მისი ხმა, ისე იყვნენ გართულები გოგონა ნინოს ცქერით.

გარეთ კი ელავდა, ქუხდა; შხრიალებდა და თხლაშუნობდა წვიმა სახლების სახურავებზე, ხეების ტოტებზე, მიწაზე... წვიმის ღარებში ღვართქაფად მოთქრიალებდა და მოთქაფუნებდა... ნიავი აღმა-დაღმა დარბოდა, სადაც კი მოასწრებდა ღია ფანჯრიდან ოთახებში შერბოდა...

— მცი...

მცივაო, — უნდა ეთქვა იას, მაგრამ ბალბამ არ აცალა, წვრილი ღერო ოდნავ წაუქნია და ჩურჩულით დატუქსა: „ხმა არ ამოიღო, იმათ რაღა უნდა თქვან, — ჩვენმა დობილ-ძმობილებმა — ველის ყვავილებმა, ვინ იცის, რა შავ დღეში არიანო?

და იაც გაჩუმდა, მეტად აღარც ამოუღია ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ქოშით

(ლექსი, დაწერილი ფაბრიკის „პირველ საამ-ქროზე“ — ბაგა-ბაღზე).

მაყვალა მრევლიშვილი

ადრიანად, დარიანად,
ვინ — რიყრაჟზე,
ვინ — ცისკარით,
დიდ-ჰატარა საქმიანად
საამქროში მივიჩქარით.
მეგობრები ყოველ დილას
მოუთმენლად მიმელიან:
რაც კი საამქროებია,
მათში ჩვენი ჰირველია.
ჩვენი ბადი უმაწვილებით
რომ აივსო ნება-ნება,
ჩიტუნები სამაისოდ
გალობენო, — გეგონება.

მზე მობრძანდა
ოქროს ქოშით
ჩვენს მხიარულ
საამქროში.

— ემატოსო! — ბრძანა გამგემ,

— იზარდონო!
— კი ბატონო!
მოგვასმენდნენ თქვენებრ ჰანგებს,
ბულბულო და იადონო!
საიმედო ცვლად რომ გვთვლიან
ბაბუ, ბებო, მამა, დედა,
იმიტომ, რომ ოჯახიდან
შრომის ეშხი დაგვებედა.
ერმენია თუ ჩვილებია,
მათი შვილიშვილებია.

თმაქოჩორა ვაჟებია,
მზეს რომ ეთამაშებიან,
ფრთაასხმული ფრინველები
გოგონები-ნინველები.

მზე ჩამდგარა
ოქროს ქოშით
ჩვენს მხიარულ
საამქროში.

მხატვარი **ანანა ბორჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა ეთუ

იქით

საფრანგეთი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი, მდიდარი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. მისი დედაქალაქია მთელ მსოფლიოში სილამაზით განთქმული ქალაქი პარიზი.

ფრანგებს, როგორც ყველა ხალხს, თავისი განუმეორებელი და ძალიან საინტერესო ხალხური შემოქმედება (ზღაპრები, სიმღერები, ლეგენდები, თქმულებები) აქვთ, რომელიც ჯერ კიდევ IX ს-იდან ასაზრდოებს ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურას, ვითარდება მის პარალელურად, ცოცხლად ეხმაურება ფრანგი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

ახლა წაიკითხავთ ნამდვილი ფრანგული იუმორითა და სიბრძნით სავსე ხალხურ ზღაპარს.

კაცი და ჩიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც შვენიერი ბაღი ჰქონდა. ზაფხულობით დილაუთენია შევიდოდა და ჩიტების გალობით ტკბებოდა. ბაღის შუაგულში მადრევანი ჩუხჩუხებდა, არემარეს გულუხვად რწყავდა და ჩიტებსაც ხშირად გულს უგრილებდა.

ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, კაცი თავის ბაღში ისვენებდა და ჩიტების გალობას უსმენდა. ერთი ჩიტი ისე ტკბილად გალობდა, რომ კაცმა გადწყვიტა დაეჭირა და მუდამ თავისთან ჰყოლოდა. ასეც მოიქცა. დაიჭირა ბატარა ბადით და გალაში ჩასვა. დატყვევებულმა ჩიტმა უთხრა:

— რატომ დამიჭირე? რას გარგებს ჩემი დატყვევება?

— მინდა, მარტო ჩემთვის გალობდეო, — უთხრა კაცმა.

— გამიშვი და სხვებთან ერთად დავატკბობ ჩემი გალობით, თუ არა და, ჩემს სიმღერას ვეღარ მოისმენო.

— ვერა? მაშინ შეგწყვავ და შეგჭამ, — მიუგო კაცმა.

— შემჭამ? ვერა სედავ, ისედაც ერთი ბეწო ვარ,

ფრანგულიდან თარგმნა **იონა ბაღავიძემ**

შემწყვარი ხომ ლუკმადაც არ გეყოფი. გირჩევნია გამიშვა და სამაგიეროდ სამ ისეთ რჩევას მოგცემ, რომლებიც ცხოვრებაში გამოგადგებაო.

კაცი ერთხანს ფიქრობდა, მერე დათანხმდა, გამოუშვა ჩიტი გალიიდან და დანაპირებ სამ რჩევას დაელოდა. განთავისუფლებული ჩიტი გვერდზე გადახტა და დაიწყო:

— რასაც გეტყვიან, ყველაფერს ნუ დიჯერებ; კარგად მოუარე იმას, რაც ხელთა გაქვს, რომ არ დაკარგო; და თუ შემთხვევით მაინც დაგეკარგა, იცოდე, აღარ იგლოვო.

მისცა ეს რჩევა ჩიტმა, აფრინდა, მახლობელი ხის ტოტზე მოკალთდა და საამური გალობა წამოიწყო. გალობას რომ მორჩა, მერე კი ასე უთხრა კაცს:

— რა ბრმა ყოფილხარ! რომ მოგეკალი, ყელში მარგალიტი მაქვს გაჩხერილი, იპოვიდი და გამდიდრდებოდიო...

კაცმა ამის გაგონებაზე თავში ხელი წაიშინა და ღრიალი მორთო:

— ეს რა მომივიდა, ასეთი ჩიტი ხელიდან როგორ გავუშვეო,

— ვაი, შე საბრალო, — გადმოსძახა ხიდან ჩიტმა, — ახლახან არ გითხარი, რასაც გეტყვიან, ყველაფერს ნუ დიჯერებ-თქო! ისიც გითხარი, კარგად მოუარე იმას, რაც ხელთა გაქვს, რომ არ დაკარგო, და თუ მაინც დაგეკარგა, აღარ იგლოვო-თქო! ეგეც რომ არ იოს, ყელში რომ გაჩხერილი მქონდა რამე, აბა, როგორ ვიგალობებდიო?

თქვა ეს ჩიტმა, აფრინდა და შურდულივით გაეშურა ტყისკენ, ის დღე იყო და ის დღე, იმ კაცის ბაღში აღარ გამოჩენილა.

ცირა ქიტიაშვილი

უკვე გაიზარდე, დადგა შენი ჯერი,
სიტყვა მოკლე თქვიო, აზრი გქონდეს გრძელი.
ასე დაიხსომე, შვილო, რჩევა ჩემი,
სავაჟო მოხუცისთვის იყავ ყავარჯენი.
უსახლკაროსთვის — ნათელ ბინის ჭერი,
ერუსთვის — ტკბილი სიტყვა, ბრმისთვის —
თვალისხინი.
მკლავი რკინის მოგცა, გული — მტრედზე ჩვილი.

ამ სტრიქონების ავტორი ქალბატონი ცირა ქიტიაშვილი გახლავთ. რას არ წაიკითხავთ მის მშვენიერ ლექსებში! ეს იქნება ფიქრი სამშობლოზე — მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ურთიერთგამტანობაზე, ერთგულებასა თუ სიწმინდეზე, პოეტი ყველას ერთნაირად უწილადებს თავის სიკეთეს და სიყვარულს — ადამიანს თუ ფრინველს, ხესა თუ ყვავილს.

ჩვენო პატარა მკითხველო, თქვენ მუდამ გახარებთ საყვარელ პოეტთან შეხვედრა. ეს სურვილი ნათლად ჩანს იმ უამრავი ბარათიდან, რომლებსაც რედაქციაში აგზავნით.

ჟურნალ „დილის“ თანამშრომლები თქვენთან ერთად ვულოცავთ ცირა ქიტიაშვილს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ კიდევ მრავალჯერ გაეხარებინოს თავისი ლამაზი ლექსებით მკითხველები.

მზექალები

შენ ხარ ნათია, გვავს და ციალა,
დედა — შუქია, ბებო — სანათა;
ტოლ-მეგობრები: მზისო, მზექალა...
რა ზღვა ნათელმა შემოგვანათა!
სულში მზეა და გულში დარია,
ეველა სახელი გასახარია,
ეველა სახელი საფიცარია,
ეველა სახელი სახსოვარია!
ენთო ოცნებად, ენთო იმედად,
სატრფოდ, მეუღლედ, ბებიად, დედად,
არ დაუნგრია ქართველ კაცს ბინა,
შემოდიოდა როგორც მზე შინა.
ამ სახელების იყვნენ ქალები,
ცეცხლი დაჰქონდათ ლამაზ თვალებით
და სულფაქიზებს კეთილ გულებით
მოჰყავდათ ქვეყნად გაზაფხულები.
ნათელი მზისა ვის ჩაუქრია!
ცისარტყელებშიც მათი შუქია.
... და ხარ ნათია, გვავს და — ციალა,
დედა — შუქია, ბებო — სანათა,
ტოლ-მეგობრები — მზისო, მზექალა,
და ზღვა ნათელმა შემოგვანათა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელებები

მხატვარი ზაურ დეისაძე

ბევრია ჩვენში კარგი სახელი:
ვაჟა, ვეფხვია,
კახა თუ გელა...
კაცის კაცობის საბუთ-დასტურად
შეურჩევიათ წინაპრებს ეველა.
ასე ნათლავდნენ ბაბები შვილებს,
მერე შვილები — საყვარელ ჩვილებს,
მაგრამ ლეგენდად შემონახულა:
ცხოვრობდა ჩვენში ვინმე გლახუნა.
არც მოხდენილი, არც მოხატული,
გლეხური ჩოხა ეცვა ქართული,
ჩუმს, მოკრძალებულს ჰქონია წესად
მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის თესვა.
სხვები ანცობდნენ, სხვები კაცობდნენ,
კრივში თუ ლხინში ბევრს მამაცობდნენ,
თავს იწონებდნენ, ქცეულნი ებედად
და იფიცავდნენ ტუილზე დედას.
არასდროს, არსად უთქვამს გლახუნას,
მასთან ჭიდილში ვინ გალახულა,

ვინ წააქცია, ვის მოერია,
დასაკვეხნი კი... ქვეყნად ბევრია.
ქვრივ-ობლისათვის, მოუვლელ ახოს
მალულად ხნავდა ღამღამით გლახო.
შინა თუ გარეთ, შორსა თუ ახლოს
მცველად ჰყავდა მარტო კაცს გლახო.
ბევრის მშველელი, ბევრის დამხსნელი,
მოკეთის ბურჯი, მტერთან ავხელი,
ცხოვრობდა კაცი ზედმეტ სახელით.
მაგრამ სიკეთეს შენგან მოფენილს
არ დაივიწყებს თურმე სოფელი...
ასე შემორჩა მისი სახელიც...
შვილს გლახოს არქმევს კაცი კახელი.
გლახუნად, გლახად მერე ემაწვილებს
მისი სახელიც დაუნაწილეს.
ბევრია ჩვენში კარგი სახელი:
ვაჟა, ვეფხვია,
კახა თუ გელა...
კაცის კაცობის საბუთ-დასტურად
შერჩეულია, გახსოვდეთ, ეველა!

ჯოჯო და გვანცა

ავტორი – ბიბი ლაფაური

დიდგორის ომი

1121 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მეომარტალანებულმა ლაშქარმა სიმამაცით განთქმული ნაჯვ ად-დინ ილ-ღაზის საჩქაროზით დიდგორის ველზე დიგანაკა. 300 000-ზე მეტ თურქ დავით IV აღმაშენებელმა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ოსი და 200 ევროპელი ჯვაროსანი, სულ 56 000-მდე მეომარი დაუპირისპირა.

შვილო, ღეღასკა! შენი გეოგრაფიით ამ გზას ავლოფაარ!

ბაკურის ღანყვეზის ნიშანი იქნება ვეტრის ღაშქარში შეჯარილი ოსანი გეოგრაფის ხაღის ავღეფარეზა!

ამ ალაზეში გეფეგ ოსები, ყივჩალები და ჭვარსანები, ს

დ ღარჩეული ვაჟკაცები გაუარა ქართველებს.

ეგეგ...
ეგეგ...
ეგეგ...
ბაგორგნენენ...
ოგ, ეს ოსალი ვოლიან...

ალ ს�ენ ქართველები? ეს ჩეფეგეა ღავითგა?

ჩვენი ყიფინის თუ შეეშინეთ...
იქნება ბეიქარნენ...

ᲨᲔᲜᲘᲗᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡᲮᲔᲚᲘᲡᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! ᲒᲘᲚᲐᲣᲜᲔᲑᲡ 200 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲚᲘᲚᲐᲨᲕᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲙᲔᲜ ᲨᲝᲚᲘᲐᲜ...
ᲰᲐ-ᲰᲐ-ᲰᲐ... ᲐᲠᲐᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ, ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲚᲘᲗ!
ᲔᲡ ᲰᲐ ᲮᲔᲓᲐᲐ?..
ᲕᲔᲨᲐᲐ...
ᲐᲠᲐᲠ... ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ...
ᲐᲛᲮᲣᲜᲔᲗᲘᲗ!
ᲕᲔᲨᲐᲐ...
ᲕᲔᲨᲐᲐ...
ᲘᲠ-ᲘᲠᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ...
ᲛᲝᲚᲘ ᲒᲐᲮᲘᲠᲔᲜ ᲩᲕᲘᲛᲔᲑᲘᲗ...
ᲛᲐᲒᲔ ᲣᲩᲕᲔᲚᲔᲗ...
ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲡᲮᲔᲚᲘᲗ...
ᲔᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲡᲮᲘᲐᲡᲔᲑᲘᲗᲘᲡᲘ ᲜᲘᲭᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲒᲐᲡᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲰᲐᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲐ 3 ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐᲚᲔ ᲒᲐᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔᲚᲐ.
ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲡᲪᲐ ᲓᲘᲓᲐᲮᲘᲡ ᲨᲘᲛᲝᲚᲔ ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲝᲭᲚᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲚᲔᲚᲘ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ლორია

აგერა ვარ ბიჭი

ნაცნობო და უცნობო,
თუკი რამე გიჭირს,
მე შემოგეშველები,
აგერა ვარ ბიჭი.
— ბებო, ასე ამ ქუჩას
ვინ გადადის, ვინ ჯრის?
მომე ხელი, გიშველო —
აგერა ვარ ბიჭი!
— დედი, ამ წყალს სჯობია
წყალი აი, იმ ჯის...
მე მოგიტან ახლავე,
აგერა ვარ ბიჭი!
— ძია, მუშა ვერ ნახე?
სახლში მართლა გიწვიმს?
მოვალ, მოგეხმარები —
აგერა ვარ ბიჭი!
— დაო, დედა ავად გყავს?
ექიმისთვის იცდი?
ამწამს წაგაყვანინებ-
აგერა ვარ ბიჭი!
— ძმაო, ვინმემ გაგლახა?
მითხარ და მე ვიცი...
ნურაფრის გეშინია —
აგერა ვარ ბიჭი!
ნაცნობო და უცნობო,
უთქვენობა მიჭირს,
დამიძახეთ, როცა გსურთ —
აგერა ვარ ბიჭი!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

მონათლულები

ნოდარ ივანიძე

მონათლული წყარო

(ლეგენდა)

დიდ გაჭირვებასა და წვა-დაგვაში იყო გათათრების დროს ისტორიული სამცხე-ჯავახეთის ქართველობა. ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა, თავის ოფლით მონაგარ-მონაღვაწარი სარჩო ოჯახში შეეტანა. გათამამებული თათარი არხეინად იტაცებდა მზა, მომკილ ჭირნახულს. თუ ვინმე სიტყვის შებრუნებას ან წინააღმდეგობას გაბედავდა, ვაი მისი ბრალი. ზოგს ცოლ-შვილს მოსტაცებდნენ და ახალციხის ბაზარზე გაყიდდნენ. გაუპატიურებულ, დაჩაგრულ და დამცირებულ ქართველს ჩივილიც კი არ შეეძლო, რადგან ადგილობრივ საქმეებს თუ საჩივარსაც ყადები და ეფენდები განაგებდნენ.

ძარცვა-გლეჯით არ კმაყოფილდებოდა თათარი, აუტანლად მძიმე ხარჯი (გადასახადი) დაადო კისრად ქართველობას. ხარჯისაგან ათავისუფლებდნენ მარტო იმას, ვინც მაჰმადიანობას მიიღებდა. გაჭირვებისათვის თავი რომ დაეღწიათ, ბევრნი მოსაჩვენებლად მაჰმადის სარწმუნოებაზე გადადიოდნენ, სულითა და გულით კი ქრისტიანობას მისდევდნენ. ახალშეძენილ ბავშვებს თურმე მალულად ნათლავდნენ ხან სად და ხან სად. ერუშეთის მთიანეთის ტერიტორიაზე, დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ძველში, ფოთლოვან ტყეში, რომელიც წინათ თურმე ხშირი და დაბურული იყო, ახლაც გამოედინება ერთი პატარა წყარო, სადაც, თურმე, ქართველ ჩვილებს ნათლავდა სოფელ ძველის მღვდელი.

ამ ტყეს დღეს „მ ო ნ ა თ ლ უ ლ ე ბ ს“ უწოდებენ, წყაროს კი — „მ ო ნ ა თ ლ უ ლ წ ყ ა რ ო ს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-6049

ჩანთის ჩივილი

ლია დაუშვილი

არვის უნდა სწავლა,
არვის უნდა გარჯა,
გულს უჩივის ჩანთა, —
კავხდი ზედმეტ ბარგად.
რა ხანია წიგნი
არ მინახავს თვალით,
აღარც ი მედი მაქვს
კარგი მომავალის.
გატენილი ქვებით
ფეხებს სიმწრით ვითრევ,
ეჰ, რამდენჯერ არ ვოქვი,
მაინც არვინ მისმენს.
მიმაგდებენ უგულოდ
ხან ამ, ხან იმ კართან,
სულ სხვადასხვას მივუავარ
ჩემი სახლის კართან.
წლები მალე გაირბენს
და შეგრცხვებათ, ვიცი,
დროის უქმად დაკარგვას
ამოგადენთ ცხვირში.

ფიგნი

მარიკა თანიაშვილი

არც ფუფუნების საგნად და
არც სათამაშოდ ვითვლები,
მსურს გაგიცოცხლოთ წარსულის
არაკები და მითები,
ქართველის ნამღერალი ვარ,
თაროს რად მაწუობთ, მამუნჯებთ?
მამა-ბაბური სიბრძნისა
ნაბერწკალი ვარ საუნჯე.
წიგნიდან იცით წარსულის
ჭირ-ვარამის და სენისა,
წიგნმა გახწავლათ ზღაპრები
დამატკბობელი სმენისა.

მხატვარი ვაჟა ქურხული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსნობა

ნოდარ გუგუშვილი

უხსოვარ დროს დაამყარა კავშირი ადამიანმა ცხენთან, მაგრამ «ერთი ცხენის ძალა», როგორც ენერგიის წყარო, მხოლოდ 6 ათასი წლის წინ «მოათვინიერა».

თავდაპირველად ცხენი ადამიანს მეურნეობის წარმოებისათვის და თავის დასაცავად სჭირდებოდა. სპორტული მნიშვნელობა ამ კეთილშობილმა ცხოველმა მოგვიანებით შეიძინა. პირველი სადოღე ცხენები არაბეთში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათას ხუთასი წლის წინ გაჩენილა. ხოლო ანტიკურ ხანაში ეტლებით რბოლა ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა იყო (ეს ისტორიულად არის დადგენილი) და მასში გამოდიოდნენ როგორც რიგითი სპორტსმენები, ისე დიდგვაროვანი მხედრები, ასე განსინჯეთ, იმპერატორებიც კი.

ადამიანს თავისი მრავალგვარი საქმიანობისთვის ნებისმიერი ჯიშის ცხენი სჭირდება. მაგრამ სპორტული შეჯიბრებებისათვის გამოუსადეგარია ჩვეულებრივი მუშა ცხენი. ეს კარგად იცოდნენ არაბეთის უდაბნოში მცხოვრებმა ბედუინებმა, და საუკუნეების მანძილზე დიდი სიფრთხილით, სიყვარულითა და საქმის ცოდნით გამოჰყავდათ წმინდა სისხლის სადოღე ცხენები.

შუა საუკუნეებში ცხენის მთავარი დანიშულება იყო რაინდთა ტურნირებში მონაწილეობა. რაინდის ცხენი უნდა ყოფილიყო ძლიერი, ფიზიკურად ამტანი — ადვილად უნდა ეტარებინა თავით ფეხებამდე ჯავშან-მუზარადში ჩამჯდარი, რკინის აბჯარასხმული მეომარი, და ამავე დროს გარკვეული სისწრაფეც უნდა ჰქონოდა.

რამდენიმე საუკუნე დასჭირდა სპორტული ცხენოსნობის ახლანდელი სახით ჩამოყალიბებას. მასში გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება: ცხენის გაწვრთნა, დოღი სხვადასხვა დისტანციაზე და კონკური. ცხენის გაწვრთნა უმაღლესი ოსტატობის სკოლაა, რომლის შემოწმება ხდება მხედრისა და ცხენის ურთიერგაგების (კონტაქტის) საფუძველზე. დოღის მნიშვნელობა გასაგებია — იმარჯვების ის ცხენი (და მხედარი), რომელიც უფრო ადრე გადაკვეთს ფინიშის ხაზს. კონკური კი ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვას ნიშნავს საამისოდ მოწყობილ სპეციალურ მოედანზე.

სპორტული ცხენები გამოჰყავთ სპეციალურ ცხენსაშენ ქარხნებში, რომლებიც მთელ მსოფლიოშია მოდებული. ცხენების მოშენება საკმაოდ პრესტი-



მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

ჟულ წარმოებად ითვლება, ზოგიერთი სპორტული ცხენის ფასი ხომ მილიონ დოლარს აჭარბებს.

XVIII საუკუნის მიწურულს ინგლისში გამოიყვანეს წმინდა სისხლის ცხენების ერთი ჯიში, რომელიც შემდგომ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამ ჯიშის, ამ დინასტიის ფუძემდებლად ითვლება დღეს ლეგენდად ქცეული სამი ულაყი — მეტრეემი, ჰეროდი და ეკლიპსი. როგორც ამბობენ, ამათგან წარმოდგება ყველა დღევანდელი წმინდა სისხლის ცხენი — ჩემპიონი.

საქართველოში ცხენოსნობა ოდითგან იყო ცნობილი. სახალხო დღესასწაულებზე იმართებოდა დღი, მარულა, ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, ჩეხვა, მთიდან დაშვება და სხვა.

დღეში ხდებოდა ჯიშიანი ცხენების გამოცდა, მათი სისწრაფის, გამძლეობის და სხვა თვისებების გამოვლენა. 1912 წელს ქართველმა ოფიცერმა კ. ავალიშვილმა მოიგო ლიეერპულის სტიპლჩეიზი (ეს დღეს ყველაზე რთული სახეა, 3200-7000 მ. დისტანციაზე გადასალახავია 8-30 დაბრკოლება); 1938 წელს კი ა. ხაინდრავამ — საკავშირო დერბი.

ძველად საქართველოში დღეი იმართებოდა მიცვალებულთა ხსოვნის პატივსაცემად.

დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო სპორტული თამაშები: ცხენბურთი, ისინდი და მარულა.

ცხენბურთს თამაშობს ორ-ორი გუნდი (6-6 მხედარი, მათ შორის თითო — მეკარე). ბურთს მხოლოდ ჩოგნით ეხებიან.

ისინდი (ანუ ჯირითი) ასევე ცხენოსანთა ორი გუნდის (6-10 მხედარი თითოეულში) შეჯიბრებაა, ოღონდ აქ მხედრები თამაშობენ 120-150 სმ სიგრძის შუბით, რომელსაც ბოლოზე დამაგრებული აქვს დარტყმის სასუსტებელი «ჩაჩი».

მარულა საცხენოსნო შეჯიბრების ერთ-ერთი უძველესი ეროვნული სახეობაა. იმართებოდა 20-25 კმ. დისტანციაზე (ახლა დისტანცია 8-10 კმ.-ია). მარულაში უფროსებთან ერთად მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებსაც.

აღმოსავლეთ საქართველოში სამხედრო ვარჯიშებისა და სახალხო გართობებისათვის გავრცელებული იყო სპორტული თამაში ყაბახი. მოედნის შუა ადგილას აღმართული იყო ძელი, რომელზეც სამიზნედ ოქროს ან ვერცხლის თასს დგამდნენ. ცხენზე ამხედრებული მოჯირითეები რიგრიგობით ჩაიქროლებდნენ და მშვილდისარს ესროდნენ თასს. თბილისში ყაბახი ორბელიანთა მამულში იმართებოდა. უკანასკნელი ყაბახობა აქ XIX ს. 40-იან წლებში გაიმართა.

სახალხო მთქმელის იოსეგ გაიაშვილის ეს ლექსი ექსპრომტად არის ნათქვამი მესტიაში, ცნობილი ქართველი მთამსვლელის, „კლდის ვეფხვის,“ მიხეილ ხერგიანის ხსოვნის ზეიმზე

ეველას რადა ჰკლავ, სიკვდილო,
რად არ თვითონა ჰკვდებიო?!
შენ ვერც ბუნება გაშინებს,
ვერც ეს დიდრონი მთებიო,
რამდენი გმირი ჩაელაშე,
შენ მაინც ვერა ძლებიო,
ერთიდა დაგრჩა — სახელი,
ვერაფერს ვერ უშვრებიო.

სახელს ვერ მოსპობ ვერც შენა,
ვერც საუკუნო წლებიო,
სახელი ქვეყნადა რჩება,
მიწას — ლეში და ძვლებიო.
ორიეესა ჰყავს ბატრონი,
ვერც ერთს ვერ შაეხებიო,
გმირებს ნუ შაეჯიდები,
სიკვდილო, დამარცხდებიო!

ეს ორი გვერდი ყველაზე პატარებისთვის არის. მათ ხომ ვეღარაფერს ვაწვდით საკითხავად მას შემდეგ, რაც იძულებული გავხდით, შეგვეწყვეტა სკოლამდელებისათვის განკუთვნილი ჩვენი პაწია ჟურნალის «აი იას» გამოცემა. ჰოდა, სანამ შეძლებული და კეთილი ხალხის შემწეობით აღვადგენდეთ მას, გადავწყვეტეთ დროდადრო «დილის» ფურცლებზე დავბეჭდოთ ლექსები და მოთხრობები ყველაზე პატარებისთვის.

ყვავილებმა რძე დალიეს

ზაირა სხირტლაძე

მე გია ვარ, ყველა ცქნაფას მეძახის. ერთხელ ბებოს ვკითხე: — რატომ მეძახიან ცქნაფას, მე ხომ გია ვარ?

— იმიტომ რომ არაფერს არ ჭამ და ერთი ბეწო ხარ, მოცქნაფული.

— ხათუნაც ხომ ერთი ბეწოა, რატომ იმას არ ეძახიან ცქნაფას? — იკითხა გიამ მეზობლის პატარა გოგონაზე.

— იმას ეტოლები? ის ჯერ ექვსი თვისაა, შენ კი მალე ოთხი წლისა გახდები.

— ბევრი რომ ვჭამო, აღარ დამიძახებენ ცქნაფას?

— არა, მაშინ მალე გაიზრდები და ვინღა გაგიბედავს ცქნაფას დაძახებას.

— მაშინ მომეცი ბევრი რძე, ძალიან ბევრი, ერთი ვედრო, სულ უნდა დავლიო და მალე გავიზარდო.

— მოდი ახლა ეს ერთი ჭიქა რძე დალიე,

ერთ ვედროს მერე მამა იყიდის, დადექი და სვი.

— არა, არ მინდა ერთი ჭიქა რძე, სავსე ვედრო უნდა დავლიო და გავიზარდო, არ მინდა ცქნაფას რომ მეძახიან.

— მართლა ცქნაფა ხარ, საიდან მოგიტანო ახლა ერთი ვედრო რძე, ჩვენ ხომ ძროხა არა გვყავს, რომ მოვწველოთ.

— მაშინ ძროხა მოვიყვანოთ. — ჯიუტობდა გია.

— ქალაქში ძროხები არა ჰყავთ; აი, სოფელში რომ წაგიყვანენ დედა და მამა ნატო ბებიასთან, იქ დალიე ერთი ვედრო რძე.

— არა, ახლა მინდა!

— თუ არ გამიგონებ, იცოდე, შენი ბებო აღარ ვიქნები. აჰა, დალიე და მერე სადღაც უნდა წაგიყვანო.

— არ მინდა მე წასვლა, ფეხები მეტკინება, ბევრი რომ ვიარო, — ამბობდა გია და გაბუტული უყურებდა ერთ ჭიქა რძეს.

— გეყოფა ახლა ბუზღუნი, ამას უყურეთ ერთი, რას არ მოიგონებს, ახლავე დალიე ეს რძე, შენთვის აღარ მცალია, ათასი საქმე მაქვს — გაბრაზებით თქვა ბებომ და სამზარეულოში გავიდა.

მარტო დარჩენილი გია მიშტერებოდა რძიან ჭიქას და ფიქრობდა: — ერთი ჭიქა რძით მაინც ვერ გავიზრდები და ტყუილად რატომ უნდა დავლიო. ჯობია ამ რძეს ყვავილებს დავუსხამ, ისინიც ხომ უნდა გაიზარდონ.

გიას ისე მოეწონა თავისი გადაწყვეტილება, კიდევაც გაეღიმა... მივიდა ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ ყვავილების ქოთნებთან და სათითაოდ დაასხა რძე ყველას. ცოტ-ცოტა იატაკზეც დაღვარა და ფანჯრის რაფაზეც. ყვავილებმა უცებ დალიეს რძე. გიამ ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და გარეთ გავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკას თოჯინა

ოთარ კავკასიძე

ბებომ ეკას ცომისაგან
გამოუცხო თოჯინა,
თავი, ტანი, ხელი, ფეხი
ნამდვილს დაამჯობინა.
უფურებს და ვერა ძღება
ჩვენი ეკა ეურებით:
აგერ თავი, აგერ ტანი,
ბებო, სად აქვს ეურები?

ეს პატარა ეურცქვიტა

თამარ მხარგრძელი

ეს ჰატარა ეურცქვიტა
ეარ მიირთმევს სტაფილოს,
არც დედილოს უჯერებს,
არც უჯერებს მამილოს.
ჰირი არ დააკარა
არც კომბოსტოს ხრამუნას,
ასე უსმელ-უჭმელი
ეცოდება თამუნას:
— დუჯერე დედილოს,
დაუჯერე მამილოს,
თუ გინდა რომ იხტუნო,
უნდა ჭამო სტაფილო

-ნონას ნაამბობი

გიგო ნინაშვილი

ლამაზია ჩემი ფისო,
დღენიადაგ სახლსა გვისო,
დალაგებას რომ მორჩება,
ისვენებს და ტახტზე ზისო.
თვალებს ისე აბრიალებს,
იმის შიშით თაგვიც ორთისო.

მხატვარი თამარ მელიქიშვილი

მთესავები

გურამ კობერიძე

ეანა დაუთესიათ
ჰაჰასა და ჰაჰუნას,
ახლა წვიმას უცდიან
მამაჰაჰურს, შხაჰუნას.

თაფლიანი ჰური

ალექსი გოლქვაძე

ჰანტა ვაშლთან ერთად დათვი
შეექცევა კარგად თაფლსაც,
თუ ჭამს ბიჭი თაფლიან ჰურს
ბეჭზე დასცემს იგი დათვსაც.

მაცაცოს სალათა

მარგო თომაძე

მხატვარი ედუარდ ამბროკაძე

მაცაცო შინ მოშივებული მივიდა.

— ახლავე ყიყლიყოს შეგიბრაწავ, — უთხრა დედამ.

გოგონამ წარმოიდგინა გათქვეფილ კვერცხში ამოვლებული, ერბოში შებრაწული პურის ნაჭრები, დაბურცულები, დაბერილები, თითქოს საცაა შეფრთხიალდებიან და დაიყივლებენო. — სალათაც რომ იყოს, გემრიელად შევატანდიო, — გაიფიქრა და რაღაც გადაწყვიტა.

— დედიკო, სალათას გავაკეთებ, შეიძლება? — ჰკითხა დედას.

— ვითომ იცი?

— ვიცი, აბა, არ ვიცი! ნახე, რა კარგი სალათა გავაკეთო. — გამოაღო მაცივარი, აიღო კიტრი, პამიდორი და მწვანილი, ჯამში ჩააწყო და კარგად გარეცხა, მერე კიტრი და პამიდორი ფიცარზე დაჭრა, სასალათეზე დააწყო, ოხრახუში, ქინძი და რეჰანი დაკეპა და ზემოდან მოაყარა; ერთი კოვზი ზეთი და ერთი კოვზი ძმარი მოაპკურა, მარილი მოაფრქვია და ერთმანეთში კარგად აურია.

— ეს ხელი ცოტა დამეღალა, — ჩაიჩურჩულა თავისთვის, — მაგრამ არა უშავს, მალე გამივლის. — მერე განჯინიდან ორი თეფში და ორი ჩანგალი გამოიღო. ერთზე თავისთვის გადმოიღო სალათა, მეორეზე დედასთვის.

საღამოს მამამაც გასინჯა მაცაცოს გაკეთებული სალათა, მამიდამაც და ბებომაც. ყველას ძალიან მოეწონა.

— კიდევ როდის გაგვიკეთებ სალათას, ჩემო კუდრაჭა? — ჰკითხა ბებომ.

— როცა დედა ყიყლიყოს კიდევ შებრაწავს, უფრო ბევრს გავაკეთებ, — შეჰპირდა მაცაცო.

თავსატეხი „კიბე“

ენის გასაცინარი

ატმის ქურდი

სტეფანე მხარგრძელი

უჭუკჭუკა ჭუკმა ჭუკს და ბატმა ბატს და კატამ კატას: ჩვენს ბოსტანში, ტალავერთან ტურა ტურას ატამს ატანს. თავს დაატყდა წუპაკ ტურას შავი ყურშა ყურპანტურა, სულ კუდით ქვა ასროლინა, იპინტრიშა, უპანჩურა.

როცა სამნი-ოთხნი, ან მეტნი ერთად შეიყრებით, შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიტყვებით „კიბის აყვანაში“. ეს გვარიანად ძნელი, მაგრამ სახალისო საქმეა.

დაწერეთ ერთ-ერთის მიერ დასახელებული რომელიმე ასო, მერე კი მის ქვევით დაამწკრივეთ ამ ასოზე დაწყებული სიტყვები — ჯერ ორი ასოთი შედგენილი, შემდეგ — სამით, ოთხით, ხუთით და ა. შ. აი ასე:

ა
აი
ალი
აზრი
ალამი
ასანთი
ანდერძი
ასისთავი
ახირებული
არითმეტიკა

ვინც დათქმულ დროში ყველაზე მაღალ „კიბეს“ ააშენებს, გამარჯვებულიც ის იქნება.

მთავარი რედაქტორი **თენგიზ ჩალაური**

პასუხისმგებელი მდივანი **ციცინო გამყრელიძე**
განყოფილებები: პროზის (**დ. წიფწიფაძე**), პოეზიის (**შ. ქაღდანი**). წერილების (**მ. კვაჭანტირაძე**). მისაღები (**მ. გიორგაძე**).
ყოველთვიური ჟურნალი უმცროსკლასელებისათვის, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა **„სამშობლო“**.
მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას, 14. ტელეფონები: 93-41-30, 93-10-32.

სამხატვრო რედაქტორი **გიორგი როინიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ინდო ფარეთელი**
გამოდის 1904 წლიდან.
გადაეცა ასაწყობად 13.04.92 ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.06.92 ქაღალდის ზომა 60×90 1/8; ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 30 000 შეკვეთა № 591

ყდაზე ნახატი **ედუარდ ამბროკაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენო პატარა მეგობრებო!

ჩვენო პატარა მეგობრებო!

ჟურნალი «დილა» აცხადებს კონკურსს უკეთესი ლექსის, უკეთესი მოთხრობისა და უკეთესი ნახატის გამოსავლინებლად.

ცხადია ნამუშევრები მშობლების დაუხმარებლად უნდა იქნეს შესრულებული.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ 7-დან 13 წლამდე ასაკის ყოველ ბავშვს.

გამარჯვებული ნაწარმოები გამოქვეყნდება ჟურნალში.

დაწესებულია შემდეგი ჯილდოები:

1. გამარჯვებულნი მთელი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებენ «დილას».
2. მათ გადაეცემათ საყვარელი მწერლის წიგნი ავტოგრაფით (ცხადია, თუ ავტორი ცოცხალია).
3. გადაეცემათ საჩუქრად, აგრეთვე, «დილის» რომელიმე მხატვრის ერთი ნამუშევარი.

სასიამოვნოა ისიც, რომ კონკურსში გამარჯვებული პატარების სახელი და გვარი გაზეთ «ლიტერატურული საქართველოს» ფურცლებზეც დაიბეჭდება.

საკონკურსოდ წარმოსადგენ მასალებს ოქტომბრის ბოლომდე ველით, კონკურსის შედეგი კი წლის ბოლოსათვის გამოცხადდება.

ჟურნალ «დილის» რედაქცია.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ